



**უფრო დამოუკიდებელი
უფრო ეფექტიანი
უფრო გამჭვირვალე
ევროპული ხარისხის სასამართლო
დიდი გამოწვევებით**

ქართული სამართალი უწყობს

*სასამართლო სისტემის 2013-2017 წლების ანგარიში
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
2017*

„სასაძაოლო ხელოსნოეოების ფონეჩიანიიება ეაოქმეება 2012 წლის საპაოაძეცა სიიეების შეძლე.“

Freedom House, 2017 წ.

„რაკეიიების შეიეაო ეაძლეიიება, იაძ 2012 წლის საპაოაძეცა სიიეების შეძლე ზნიშნეოაზნაო შეძიიება სხეოძიებას სასიეებოაო ძიოებოო ეააწეეცეოებააო ძაეეებეოი, იაწ ხელოსნოეოების აიუანებისაზნ ზეწოის ფაწეების შეძიიებასა რა სასაძაოოს რაძეკიებოაძის ზიებაე შეიძლეა ძიოიიება.“

საეიოაძიის ეაძეიიებაა საწიეეოო, 2016 წ.

ს ა რ ი მ ე ბ ი

სასამართლო უფრო დამოუკიდებელია	3
სასამართლო უფრო ეფექტიანია	17
სასამართლო უფრო გამჭვირვალეა	20
ევროპული ხარისხის სასამართლო	23
დიდი გამოწვევები	27



სასამართლო უფრო დამოუკიდებელია

დღეს ქართული მართლმსაჯულება უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე ოდესმე ყოფილა არსებობის 26 წლის ისტორიის მანძილზე

→ რეგიონში | ადგილზე კანონის უზენაესობის ინდექსით

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის (WJP) 2016 წლის კვლევის თანახმად, კანონის უზენაესობის ინდექსით საქართველო ლიდერი ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. მსოფლიოს მასშტაბით, საშუალო შემოსავლის ქვეყნებს შორის მე-4, ხოლო მსოფლიოს საერთო მასშტაბით, 34-ე ადგილი უკავია.

*„რეკონსტრუქციის შედეგად უამრავი რაიონი, რომელიც 2012 წლის
საპროექტულ სტრატეგიის შედეგად პიშვით აღმოჩნდა
შეძრის სახელმწიფოს სასარგებლოდ მიუღწევად
უაღრესესტად მდებარეობდა, რაც ხელისუფლების
აღმართებისა და ხელისუფლების ფაქტების შედეგად და
სასაზოგადოებროდ რამდენიმე რაიონში შეიძლება
მოხდეს.“
საერთაშორისო უმჯობესების სახელმწიფო, 2016 წ.*

→ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასება

სასამართლოს დამოუკიდებლობის კომპონენტში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) 2015-2016 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა 35 პოზიციით და 56-ე ადგილზე გადმოინაცვლა 2011-2012 წლის ანგარიშის შედეგებთან შედარებით.

→ სამართლებრივი სისტემის დაცვის მაჩვენებელი


ფრაიზერის ინსტიტუტი (Frazer Institute) 159 ქვეყანაში აწარმოებს მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლების კვლევას. 2016 წლის კვლევის ანგარიშის თანახმად, 2011 წელთან შედარებით, სამართლებრივი სისტემისა და ქონებრივი უფლებების დაცვის კომპონენტში საქართველომ 70-ე ადგილიდან გადაინაცვლა 35-ე ადგილზე, ყველაზე თავისუფალი ქვეყნების რიგებში. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი სისტემისა და ქონებრივი უფლებების დაცვის კომპონენტი თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის ქვეკომპონენტებს.

→ პრაქტიკოსი იურისტები თვლიან, რომ დღეს სასამართლო უფრო დამოუკიდებელია

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ 2005-2016 წლებში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა ჩაატარა.


როგორ შეაფასებდით სასამართლოს დამოუკიდებლობას 10 წლის წინ?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი „საშუალოზე მაღალი“ და „მაღალი“ მიუთითა პროკურორების 8%-მა, ადვოკატების 8%-მა, ყოფილი მოსამართლეების 23%-მა, მოქმედი მოსამართლეების 6%-მა.




როგორ შეაფასებდით სასამართლოს დამოუკიდებლობას 5 წლის წინ?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი „საშუალოზე მაღალი“ და „მაღალი“ მიუთითა პროკურორების 10%-მა, ადვოკატების 8%-მა, ყოფილი მოსამართლეების 6%-მა, მოქმედი მოსამართლეების 6%-მა.



როგორ შეაფასებდით სასამართლოს დამოუკიდებლობას დღეს?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი „საშუალოზე მაღალი“ და „მაღალი“ მიუთითა პროკურორების 92%-მა, ადვოკატების 36%-მა, ყოფილი მოსამართლეების 11%-მა, მოქმედი მოსამართლეების 82%-მა.



როგორც კვლევა აჩვენებს, გამოკითხვაში ჩართულმა ყველა პრაქტიკოსმა იურისტმა მოსამართლეების დამოუკიდებლობის ხარისხის მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითა.

→ კერძო პირები უფრო მეტ საჩემს იგებენ, ვიდრე სახელმწიფო

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2016 წელს კერძო პირებმა სახელმწიფოსთან დავაში მოიგეს ადმინისტრაციულ საქმეთა 64%.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2011 წელს კერძო პირებმა სახელმწიფოსთან დავაში მოიგეს ადმინისტრაციულ საქმეთა 47%.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2013 წლიდან 2016 წლამდე დიაპაზონში კერძო პირების სასარგებლოდ ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის სტატისტიკა გაიზარდა დაახ. 24%-ით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2016 წელს კერძო პირებმა სახელმწიფოსთან დავაში მოიგეს საგადასახადო საქმეთა 73%.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2011 წელს კერძო პირებმა სახელმწიფოსთან დავაში მოიგეს საგადასახადო საქმეთა 59%.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2013 წლიდან 2016 წლამდე დიაპაზონში კერძო პირების სასარგებლოდ საგადასახადო დავების გადაწყვეტის სტატისტიკა გაიზარდა დაახ. 25%-ით.

→ მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ

უვადოდ დანიშნული მოსამართლე უსაფრთხოდ გრძნობს თავს პოლიტიკური, სოციალური და სხვა ცვლილებების მიმართ. შესაბამისად, უფრო თავისუფალი და მიუკერძოებელია თავის გადაწყვეტილებებში.

→ მოსამართლეთა სოციალური დაცვა

2008 წლის შემდეგ პირველად 2014 წელს გაეზარდათ მოსამართლეებს შრომის ანაზღაურება. ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი ინსტანციების მიხედვით გაიზარდა სხვადასხვა, **24%-დან 100%-მდე**, ოდენობით. აღსანიშნავია, რომ შრომის ანაზღაურება ყველაზე მეტად გაეზარდათ იმ მოსამართლეებს, რომლებსაც არ უკავიათ სასამართლოში ადმინისტრაციული თანამდებობები.

→ საქმეები ნაწილდება თანაბრად და შემთხვევითი შერჩევის წესით

მოსამართლეებს შორის საქმეები ნაწილდებოდა შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, რაც ხშირად გამხდარა კრიტიკის მიზეზი. ამჟამად შემუშავებულია საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა, რომელიც შემთხვევითი შერჩევის წესით და თანაბარი დატვირთვის პრინციპის დაცვით ანაწილებს საქმეებს მოსამართლეებს შორის.

→ 83%-ით გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა

2008-2011 წლებში გამამართლებელი განაჩენი გამოვიდა 112 პირის მიმართ, ხოლო 2013-2016 წლებში 643 პირის მიმართ.

2016 წელს 227 პირის მიმართ იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი, რაც უკანასკნელი 16 წლის მონაცემების მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

სისხლის სამართლის არსებითად განხილული საქმეებიდან 2013-2016 წლებში შეწყდა 931 საქმე (19%-იანი ზრდა). საქმის შეწყვეტა შინაარსობრივად უტოლდება გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

→ შემცირებულია თავისუფლების აღკვეთის ალკვეთის ინტენსივობა და ხანგრძლივობა

მნიშვნელოვნად შემცირებულია სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხანგრძლივობის თვალსაზრისით.

თავისუფლების აღკვეთა 1-2 წლით

2008-2011 წლები:

4556 პირი

2013-2016 წლები:

3340 პირი (27%-ით ნაკლები)

თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ჩათვლით

2008-2011 წლები

23278 პირი

2013-2016 წლები

15737 პირი (32%-ით ნაკლები)

თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ჩათვლით

2008-2011 წლები

28198 პირი

2013-2016 წლები

17585 პირი (38%-ით ნაკლები)


თავისუფლების აღკვეთა 8 წელზე მეტი ვადით

2008-2011 წლები

5583 პირი

2013-2016 წლები

891 პირი (84%-ით ნაკლები)



→ მივლინება მხოლოდ მოსამართლისვე თანხმობით

2011 წელს სხვადასხვა სასამართლოში მივლინებული იყო 97 მოსამართლე. დღეის მდგომარეობით ეს ციფრი შემცირებულია 3-მდე. ითვლებოდა, რომ მოსამართლეთა მივლინება (რაიონში გადაყვანა) ე.წ. „ურჩი“ მოსამართლეების „დასჯის“ საშუალებას წარმოადგენდა.

კანონში შესული ცვლილებით, დღესდღეობით მოსამართლეს, მისი ნების გარეშე, ვერავინ გადაიყვანს სხვა სასამართლოში.

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ 2005-2016 წლებში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა ჩაატარა. მოსამართლეთა იძულებითი მივლინება არასასურველი მოსამართლეების „დასასჯელად“ ან მათ „გასანეიტრალებლად“ გამოკითხვაში მონაწილე მოსამართლეების 65%-ის მოსაზრებით 10 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; 53%-ის მოსაზრებით 5 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; არცერთი მოსამართლე (0%) თვლის, რომ აღნიშნული დღეს უქმნის საფრთხეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას.

*„ბევრი წლების უანგთულობაში, პიძუგუოგუნაჲ შეძირიჲს
კანონძებოაძის რანეჲ აჩხუბოჲოი საფრთხეჲები
მსაძაწოჲოჲოჲს უაჲაჲეოჲოჲის (ძიგოინება, უკანკოჲისაჲ
რანიშუნა რა რაწინაოჲოჲის) ჰოაქესში.“
კაჲოიწიჲა რაძოუკიჲეჲოი რა უაძჲეიოჲოჲო
მაროჲმსაჯოჲოჲისოჲის, 2017წ.“*


→ 94%-ით შემცირდა გირაოს ოდენობა

94%-ით შემცირებულია აღკვეთის ღონისძიების სახედ მოთხოვნილი გირაოს თანხის სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი.

2009-2012 წლებში სრულად დაკმაყოფილებული გირაოს საერთო ოდენობამ შეადგინა დაახ. 91 მილიონი ლარი, ხოლო 2013-2016 წლებში - 5 მილიონი ლარი. შესაბამისად სახეგია 94%-იანი კლება.

შედარებისთვის 2011 წელს გირაოს ოდენობა შეადგენდა დაახ. 31 მილიონ ლარს, მაშინ როდესაც 2016 წელს იგივე მაჩვენებელი 600 ათასი ლარია.

გირაოს ოდენობა წლების მიხედვით ლარებში




→ 79%-ით შემცირდა სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის ოდენობა

2009-12 წლებში გამოყენებული ჯარიმის საერთო ოდენობა დაახ. 229 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო 2013-16 წლებში - 48 მილიონს. შესაბამისად, სახეზეა 79%-იანი კლება.


შედარებისთვის, 2011 წელს გამოყენებული ჯარიმის ოდენობა შეადგენდა დაახ. 91 მილიონ ლარს, მაშინ როდესაც 2016 წელს - მხოლოდ 12 მილიონს.

ჯარიმის ოდენობა ლარებში წლების მიხედვით



→ 26%-ით ნაკლები შუამდგომლობა კმაყოფილდება


შემცირებულია საგამოძიებო ორგანოებიდან საგამოძიებო მოქმედებებისა (მაგ. ჩხრეკა, ამოღება) და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ შემოსული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი. 2010-2012 წლებში კმაყოფილდებოდა ამგვარი შუამდგომლობების 82%, ხოლო 2014-2016 წლებში დაკმაყოფილდა - 56%.



„შეძირიერა სასამართლოს მიერ აკრედიტაციის წინაპირობების
სახეზე მხარე პაციენტის უამრებების ცერტიფიკატი.
შეძირიერა სახელმწიფო მართვის/შეკრულების
შედეგად მომხმარებლის რაოდენობის რაკეტაფორმების
მართვის/შეკრულების.“
საერთაშორისო უამრებების/შეკრულების, 2016 წ.

→ 3-ჰერ შემცირდა ადმინისტრაციულ პატიმრობათა რაოდენობა

2013-2016 წლებში, 2009-2012 წლებთან შედარებით, გამოტანილ იქნა 8252-ით მეტი დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევაზე. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული პატიმრობები 2009-2012 წლებში გამოვლენილ სამართალდარღვევათა **15,2%** შემთხვევებში იქნა გამოყენებული, ხოლო 2013-2016 წლებში დაახ. **3-ჯერ ნაკლებ**, მხოლოდ **4,6%** შემთხვევებში.



→ 41%-ით გაიზარდა გასაჩივრებული პოლიციისა და „სითი პარკის“ ჯარიმების დაკმაყოფილების სტაბილურობა

2011 წელს სასამართლომ განიხილა პოლიციისა და „სითი პარკის“ ჯარიმებზე შემოსული 28 საჩივარი, საიდანაც დააკმაყოფილა მხოლოდ 10,7%. 2016 წელს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ 44-ჯერ მეტი საჩივარი განიხილა (ჯამში 1229), დაკმაყოფილების მაჩვენებელმა შეადგინა 51,8%.

→ აღარ ხდება მოსამართლეების რეგერვში ჩარიცხვა

სასამართლოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის (მოსამართლის თანამდებობის შემცირების) საფუძვლით 2013 წლამდე ადგილი ჰქონდა მოსამართლეთა ჩარიცხვას რეგერვში, რაც გულისხმობდა საქმიანობიდან ჩამოცილებას, დაბალ ანაზღაურებასა და გაურკვეველ კარიერულ პერსპექტივას.

2013-2017 წლებში არცერთი მოსამართლე არ ჩარიცხულა რეგერვში, ხოლო რეგერვში არსებულ მოსამართლეებს კვლავ დაეკისრათ მოსამართლის უფლებამოსილება.

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ 2005-2016 წლებში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა ჩაატარა. „პოლიტიკურად არასასურველი“ მოსამართლეების რეგერვში გადაყვანა გამოკითხვაში მონაწილე მოსამართლეების 59%-ის მოსაზრებით 10 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; 53%-ის მოსაზრებით 5 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; 6% თვლის, რომ აღნიშნული დღეს უქმნის საფრთხეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას.

→ გაძლიერდა თვითმმართველობა

მოსამართლეთა კონფერენცია - ასე ეწოდება საქართველოს საერთო სასამართლოების უმაღლესი თვითმმართველობის ორგანოს, რომელიც შედგება ყველა მოქმედი მოსამართლისგან.

2008-2011 წლებში მოსამართლეთა კონფერენცია მოწვეულ იქნა მხოლოდ 2-ჯერ, ხოლო 2012-2016 წლებში - 11-ჯერ.

*„უკანასკნელმა მსაძაწორობის თეორიისა და პრაქტიკის
მსაძაწორობის კანონმდებლობის იურიდიული კუთხით, თუ აქამდე
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მსაძაწორობის წესების*

*კანდიდატებს კანდიდატურას ექსპლოზიონატარ მხენაქსი
 სასაქონლოთა თაუქრადსიუ ჩაქოქექერა, ქეჭოქოქექექის
 თანახმარ კანდიდატურას თიოქოქო ქეჭოქის ძიქნიქს
 კანდიდატქექის რასახქოქექის თეჭოქექა. ქაქრას აქისა,
 ქექიქოქრას ძსაქონლოქოქა კანდიდატქექის აქძინისქრახქიოქოქი
 აქოქანს-აქძინისქრახქიოქოქი კაქძიქქექის თეჭოქექაქსიოქექა
 კანდიდატქექის სქრადქებს ქაქის პექიოქრძი კანდიდატქექის
 სახქოქიოქი ძიქოქი ისეოქი თქძინქეჭოქოქექის
 ქაქრასქეჭოქექიოქექი, ზაქრახქიქაა ძაქ. იოქსქიქიქის თქძოქოქიქი
 საქქას ძსაქონლოქოქი ქეჭოქექის რას სქრიქიქოქიოქი კაქოქექიქის
 ქეჭოქექის აქოქექა. ძეჭაქს ქეძინქეჭოქექი ქანისაქოქიქა
 ზიქექაქიქექი კანდიდატქექის ძაქექიქის ქაქოქექიოქექა. “
 საქოქოქაქაქიქი ქაქქექიქექოქაქა საქაქოქექოქი, 2016 ქ.*

→ პროკურატურის მხრიდან გენოციდის საფრთხე მინიმალდება

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ 2005-2016 წლებში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა ჩაატარა. პროკურატურის გეწოლა სასამართლოზე გამოკითხვაში მონაწილე მოსამართლეების 47%-ის მოსაზრებით 10 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; 53%-ის მოსაზრებით 5 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; 6% თვლის, რომ აღნიშნული დღეს უქმნის საფრთხეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას.

→ დაიხვეწა და უფრო ინტენსიური გახდა დისციპლინური წარმოება

2010-2012 წლებში ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 18 დისციპლინური სამართალწარმოების სხდომა. 2013-2016 წლებში აღნიშნულ სხდომათა რაოდენობა გაიზარდა 3-ჯერ - ჩატარდა დისციპლინური სამართალწარმოების 50 სხდომა.

2013 წლიდან დღემდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილულ იქნა 1024 დისციპლინური საჩივარი, რომელთაგან:

- 855 საჩივარზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება;
- 34 საჩივარზე მოსამართლეებს გაეგზავნათ სარეკომენდაციო ბარათი;
- 82 საჩივარზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება.

აღსანიშნავია, რომ შემოსული 1024 დისციპლინური საჩივრის 85% მოდის კანონიერების საკითხზე, რაც მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ გახდება დისციპლინური წარმოების ფარგლებში განხილვის საკითხი.

დარჩენილი საჩივრების 90% მოდის მოსამართლეთა მხრიდან საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების გაჭიანურებაზე, რაც სასამართლოში არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების ნაკლებობის პირდაპირი შედეგია.

*„მხრას სასამართლოს სარიცხიპოინი კალოუიის
რისცანჩიიუბა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა. კუიძა,
უანისაზოუზა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ან
შეიძლება იყოს სარიცხიპოინი კალოუიის წევრი რა კალოუიის
ათამსამართლო წევრების აჩიუბის უფლებამოსილება
საბჭოს ნაწევრობა პარლამენტს მიენიჭა. უანისაზოუზა იხილ,
რომ კალოუიის მსამართლო წევრებს იხილეს პირდაპირი
მსამართლოთა კანფერენცია რა უნებური სასამართლოს
თავმჯდომარის ჩამოთხოვა კანფერენციების წარმოების
უქსკოუბიოური უფლებამოსილება. წევრობებშით ასევე
რადიირა სარიცხიპოინი კალოუიის რა სარიცხიპოინი
პროცესის უარყოფითი ეფექტების უამრავების
უარყოფილება.“*

საქართველოს უამრავიუზოდა საქართველო, 2016 წ.

*„რისკიპოინოზი პსონისტუტოაის საფუძვლოებთან
„კანონის თხუში რაყოფუვის“ აძყოება რაქონიო მუყოვნაო
თნაო შუფასიო.“*

*კაწოიწია რაძოუკიქეძეოი რა უაძქეიწიუაოუ
მართოძსაჭოოებისოუის, 2014წ.*

→ **გაიზარდა მიმართვიანობა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი**

1996 წლიდან საერთო სასამართლოებმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით მიმართეს 75-ჯერ, რომლის 68% (51 მიმართვა) მოდის 2014-2017 წლებზე.

საერთო სასამართლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმის გადაწყვეტისთვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.



სასამართლო უფრო ეფექტიანია

**მიუხედავად რესურსების სიმცირისა სასამართლოები
წარმატებით საქმიანობენ**

→ **ეფექტიანი მართლმსაჯულების ევროპული კომისიის (CEPEJ) 2016 წლის კვლევის თანახმად, საქართველოს სამართალსა და სასამართლოებს, მწირი რესურსების მიუხედავად, წარმატებით საქმიანობენ**

CEPEJ-ის კვლევამ დაადგინა, რომ:

- ყოველ 100'000 მაცხოვრებელზე საქართველოში მოსამართლეთა რაოდენობა 3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ ევროპაში.
- ყოველ 100'000 მაცხოვრებელზე საქართველოში სასამართლო მოხელეთა რაოდენობა 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ ევროპაში.

- საშუალოდ ევროპაში წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის იხარჯება 31 ევრო, ხოლო საქართველოში 5-ჯერ ნაკლები - 6 ევრო.

მიუხედავად ამისა:

- საქართველოში სამოქალაქო და კომერციული კატეგორიის დავები განიხილება საშუალოდ 100 დღეში, ხოლო ევროპაში - 188 დღეში. საქართველოში ყოველ 100 მაცხოვრებელზე წლის ბოლოს დაახ. 6-ჯერ ნაკლებია განსახილველ საქმეთა ნაშთი, ვიდრე საშუალოდ ევროპაში.
- საქართველოში სისხლის სამართლის კატეგორიის დავები განიხილება საშუალოდ 65 დღეში, ხოლო ევროპაში - 113 დღეში. საქართველოში ყოველ 100 მაცხოვრებელზე წლის ბოლოს დაახ. 6-ჯერ ნაკლებია განსახილველ საქმეთა ნაშთი, ვიდრე საშუალოდ ევროპაში.
- საქართველოში ადმინისტრაციული სამართლის კატეგორიის დავები განიხილება საშუალოდ 130 დღეში, ხოლო ევროპაში - 207 დღეში. საქართველოში ყოველ 100 მაცხოვრებელზე წლის ბოლოს დაახ. 3-ჯერ ნაკლებია განსახილველ საქმეთა ნაშთი, ვიდრე საშუალოდ ევროპაში.

→ **მე-16 ადგილზე 190 ქვეყანას შორის (DOING BUSINESS)**

მსოფლიო ბანკის DOING BUSINESS 2017 წლის კვლევის მონაცემებით სახელშეკრულებო დავების განხილვის კუთხით საქართველო მსოფლიო რეიტინგში **მე-16 ადგილზეა** 190 ქვეყანას შორის. 2012 წლის იგივე კვლევის თანახმად, საქართველო **41-ე ადგილზე** იყო.

→ **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასება**

დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობის კომპონენტში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) 2015-2016 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა 28 პოზიციით და 54-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

→ **დამტკიცდა 5 წლიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა**

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა გადავიდა თანამედროვე მენეჯმენტის მოდელზე და უარი თქვა თვითდინებით განვითარებაზე. პირველად საქართველოს ისტორიაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა 5 წლიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ:

- მოსამართლეები;
- პარლამენტი;
- ადვოკატთა ასოციაცია;
- იუსტიციის სამინისტრო;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- დონორი ორგანიზაციები.

→ **განვითარდა ელექტრონული საქმისწარმოება (E-FILING)**

2016 წლიდან მოყოლებული მხარეებს შეუძლიათ სარჩელი, შესაგებელი და საქმის სხვა მასალები სასამართლოში წარადგინონ დისტანციურად - სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად.

→ **უფრო სპეციალიზებული მოსამართლეები**

რაც უფრო ერთგვაროვანი სახის საქმეებს იხილავს მოსამართლე, მით უფრო სწრაფად და სწორად ხორციელდება მართლმსაჯულება. მიუხედავად მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირისა, 2013-2017 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნა შემდეგი სპეციალიზაციები:

- საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომების კოლეგია;
- საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სპეციალიზაცია;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სპეციალიზაცია.



სასამართლო უფრო გამჭვირვალეა

გარე დამკვირვებლების შეფასებით
სასამართლოს გამჭვირვალობა გაუმჯობესებული და მზარდია

→ **დასაშვები გახდა სასამართლო სხდომების ფოტოგადაღება, ვიდეო და აუდიო ჩაწერა**

2013 წლამდე სასამართლო სხდომის მიმდინარეობის ფოტოგადაღება, ვიდეო და აუდიო ჩაწერა აკრძალული იყო. ისეთი შემთხვევებიც კი ყოფილა, როდესაც სასამართლოს მანდატურს სხდომის მიმდინარეობის დროს ხელნაწერების გაკეთების საშუალება არ მიუცია ჟურნალისტისთვის.

„ახალი იუთუბის“ მანამდე, სსამსოფო სერდები რომ
ქაბას მს მერიისათვის რა ახლა, რაღას ჩემი,
ნებასთხოვთ რაღას ვიქს რა აქვს ჩანაწერის
ქაღალდი, ისე მოქმედობდა. „საქონალის
ქაღალდი - საქონელი“ მიესაძღვნა ამ ინიციატივას
რა მიხნა, რამ ეს საქონელი ქაღალდის თქმის
ქაღალდის მიმართებით ქაღალდი სწორი ნაბიჯია.“
საქონალის ქაღალდი საქონელი, 2014 წ.

„იქსიო ქაღალდის მიმართ იქსიო ქაღალდის
მიმართებით ქაღალდის მიმართებით ქაღალდის
ქაღალდის მიმართებით ქაღალდის მიმართებით
ქაღალდის მიმართებით ქაღალდის მიმართებით
ქაღალდის მიმართებით ქაღალდის მიმართებით
ქაღალდის მიმართებით ქაღალდის მიმართებით
ქაღალდის მიმართებით ქაღალდის მიმართებით“
საქონელის ახალგაზრდა იუთუბის ახალი, 2014 წ.

→ სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება ქვეყნდება საჯაროდ

სასამართლოს საქმიანობაზე დაკვირვების საუკეთესო გზაა გაცნობა
სასამართლოს საქმიანობის მთავარ პროექტს - სასამართლო
გადაწყვეტილებებს. 2016 წლიდან ყველა გადაწყვეტილება საჯაროდ ქვეყნდება
და ყველასთვის ხელმისაწვდომია მისამართზე - info.court.ge

„მისაქმედებია 2016 წლის 12 სექტემბრის საქონელის
იუთუბის თქმის მიმართებით ქაღალდის
ქაღალდის მიმართებით ქაღალდის მიმართებით“

სასამართლო უარსჩუქვროებების უაქების რა უამქუყნების
ქების რამქკიქების შესახებ, რამქის მიხეივირას
info.court.ge-ს პიტვარს სასამართლო
უარსჩუქვროებას ურთიან რეესქრის ფუნქცია უნიქება. “
უქრკაუქრის რა უქრკის სარქს ურთაროვი პრექტი,
2017 წ.

→ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ღიარ ყველასთვის

ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად:

- საბჭოს სხდომათა დღის წესრიგი წინასწარ ქვეყნდება ვებ-გვერდზე;
- ყველას აქვს უფლება გამოთქვას მოსარბებები განსახილველ საკითხებზე;
- ქვეყნდება საბჭოს სხდომების ვიდეო ჩანაწერები;
- მოსამართლებს შეუძლიათ პირდაპირი ტრანსლაციის გზით თვალის
მიადევნონ სხდომათა მიმდინარეობას.

„უქანასქეოი რთი ქროის უანჭუქოდში, სარქს
უამქუიჩუქოდის კუთხი, რიუ საკიოებში მნიშუქოუქანი
უაუქქბესება შეიქნეკა.“

კაქოიქია რამუქიქბეოი რა უამქუიჩუქოუ
მარქომსაქოქბისბუის, 2017 წ.

„უაიბარა იუქსიქიის უმქოქის სარქს უამქუიჩუქოდის
ბარისბი. მუქოიარ, სბრბების შესახებ ინფარმაციის
უამქუყნების, უარსჩუქვროებების ბქომისაქქრამბის რა
სბრბების უამქუქების მიმაროქოქბიბი.“

საქრთარმარის უამქუიჩუქოდს საქაროქოქო, 2016 წ.



ევროპული ხარისხის სასამართლო

ევროპული სტანდარტების გამოყენება
სასამართლო საქმიანობის აუცილებელ ნაწილად იქცა


→ პატიმრობის გამოყენება შემცირებულია 53%-ით

2010 წელთან შედარებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება შემცირებულია **53%-ით** (2010 წელს პატიმრობის რაოდენობა შეადგენდა **8761-ს**, 2016 წელს - **5044-ს**).



აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ევროპული სტანდარტის შესაბამისად გამოიყენება მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება.

ჯამში, 2013-2016 წლებში, 2008-2011 წლებთან შედარებით **53%-ით** ნაკლებ შემთხვევაში იქნა გამოყენებული პატიმრობა.


პატიმრობის გამოყენება



აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა 2008-2011 წლებში გამოიყენებოდა დაახ. **70%** შემთხვევებში, ხოლო 2013-2016 წლებში - **50%** შემთხვევებში. კლებამ შეადგინა **20%**.




არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების შემთხვევები შემცირდა 70%-ით:



→ 11-ჯერ ნაკლები საჩივარი იზგავნება სტრასბურგში

2008-2011 წლებში საქართველოდან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაიგზავნა 4663 საჩივარი, ხოლო 2013-2016 წლებში 11-ჯერ ნაკლები - 415 საჩივარი.



→ ევროსასამართლოს პრაქტიკა გამოიყენება აქტიურად

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად დადგინდა, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითება.

საქართველოს საერთო სასამართლოებში დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც, მათ შორის, უცხოური სასამართლოს შეფასება იქნა გამოყენებული სამართლის ნორმის განმარტების მიზნით. აღნიშნული მიუთითებს მოსამართლეთა კვალიფიკაციის ზრდაზე.

„საქართველოს საერთო სასამართლო წარმოადგენს, როგორც ადამიანის უფლებათა უზენაესი უზრუნველყოფის, როგორც უზენაესი უფლებების სივრცის, ქვეყნისა და პირდაპირი უფლებებისა და აწინაინიშნებს ევროპული სასამართლოს სიმბოლურ როლს.“

*ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ეროვნული პრეზიდი,
2017 წ.*

→ გენდერული ბალანსი დაცულია

საქართველოში მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეთა 61% ქალია.

	მოსამართლე	მოხელე
ქალი	148	882
კაცი	139	520



დიდი გამოწვევები

**სასამართლო დგას მნიშვნელოვანი შიდა
და გარედან მომდინარე გამოწვევების წინაშე**

→ უფლებანაკლული სისხლის სამართლის მოსამართლე

- მოსამართლეს არ აქვს მხარეთა თანხმობის გარეშე შეკითხვის დასმის უფლება;
- მოსამართლეს არ აქვს საქმის გამოძიების ეტაპზე დაბრუნების უფლება;
- მოსამართლეს არ აქვს საკუთარი შეხედულებით პირობითი მსჯავრის გამოყენების უფლება;
- მოსამართლეს არ აქვს ქვედა ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის უფლება.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდაღვევების საქმეების განხილვის პროცესში მნიშვნელოვნად მეტი უფლებამოსილებებით სარგებლობს. გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციული სამართალდაღვევა ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაული, კანონის არსებული რეგულაცია, შესაძლებელია შეფასდეს არაპროპორციულ და არათანმიმდევრულ მიდგომად.

→ ფინანსური და მატერიალური გამოწვევები

- რთული სამუშაო პირობები;
- არანორმირებული სამუშაო საათები;
- შრომის დაბალი ანაზღაურება;
- დაურეგულირებელი საპენსიო სისტემა.

→ საქმეთა სიმრავლე

2013-2016 წლებში საერთო სასამართლოების მიერ (სამივე ინსტანციის სასამართლოები) განხილულ იქნა 500 000-ზე მეტი საქმე.

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ ვითარებას. თბილისის საქალაქო სასამართლო ყველაზე დიდი სასამართლოა და ის ყოველწლიურად საერთო სასამართლოებში შემოსული საქმეების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს განიხილავს.

რესურსები	სამუშაო	დატვირთვა
105 მოქმედი მოსამართლე	2016 წელს სულ 60,000 საქმე იქნა განხილული	თითო მოსამართლე წლიურად 1000-ზე მეტ საქმეს განიხილავს
40 სხდომის დარბაზი	1 სხდომის დარბაზი 3 მოსამართლისთვის	სტატისტიკურად თითოეულ სხდომის დარბაზში დღეში 10-ზე მეტი სხდომა ტარდება
520 სასამართლო მოხელე	60,000 საქმე	+/- 12 საათიანი სამუშაო დღე, პლუს ხშირად მუშაობა შაბათს ან/და კვირას

→ მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირე

ეფექტიანი მართლმსაჯულების ევროპული კომისიის (CEPEJ) 2016 წლის კვლევის თანახმად, 100,000 მოსახლეზე მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირით, 47 ქვეყანას შორის, საქართველო 46 ადგილს იკავებს და უსწრებს მხოლოდ ირლანდიას.

ქვეყნები	რაოდენობა	100000 მოსახლეზე
საქართველო	282 მოსამართლე	5,4 მოსამართლე
ესტონეთი	231 ~	17,7 ~
ლატვია	469 ~	21,5 ~
ლიტვა	767 ~	25,6 ~
სლოვენია	970 ~	47,1 ~

→ მედიის გაძლიერებული გეოლა სასამართლოზე

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ 2005-2016 წლებში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა ჩაატარა. მედიის გეოლა სასამართლოზე გამოკითხვაში მონაწილე მოსამართლეების 35%-ის მოსაზრებით 10 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; 35%-ის მოსაზრებით 5 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; 41%-ის მოსაზრებით, აღნიშნული დღეს უქმნის საფრთხეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას.

→ მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ 2005-2016 წლებში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა ჩაატარა. მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები გამოკითხვაში მონაწილე მოსამართლეების 65%-ის მოსაზრებით 10 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; 71%-ის მოსაზრებით 5 წლის წინ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულებას; 76%-ის მოსაზრებით, აღნიშნული დღეს უქმნის საფრთხეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას.